



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ინფლაციის მაჩვენებლის მოდიფიკაციები და მათი საქართველოსთვის გამოყენების მიზანშეწონილობა

ვლადიმერ ჰაპავა
ვასტანბ ჭარანია

77

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა

ვასტანგ ჭარანია

**ინფლაციის მაჩვენებლის მოდიფიკაციები და მათი
საქართველოსთვის გამოყენების მიზანშეწონილობა**

77

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9886-4

შესავალი

ინფლაცია ის მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ კონკრეტულ ქვეყანაში, როგორც ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზისათვის, ისე მისი ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისათვის. პოსტკომუნისტური საქართველო, სამწუხაროდ, მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომელთაც მოუწიათ ჰიპერინფლაციურ სპირალში მოხვედრა¹. კერძოდ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული შეცდომების გამო ქვეყანაში ჰიპერინფლაცია განვითარდა². მისი დაძლევისათვის საქართველოში კომპლექსური ხასიათის ეკონომიკური რეფორმა გატარდა³, რის შედეგადაც მაკროეკონომიკური სტაბილურობა იქნა მიღწეული⁴. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ფასების სტაბილურობის შენარჩუნება სავსებით ლოგიკურად იქცა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზნად⁵.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს მაგალითზე ინფლაციის ტრადიციული მაჩვენებლის იმ ასპექტის შესწავლა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებად, განსაკუთრებით კი, ღარიბ ქვეყნებში.

როგორ აღიქვამს ინფლაციას ნაკლებშემოსავლიანი მოსახლეობა

საქართველოში ინფლაციის მონიტორინგს 1992 წლიდან სტატისტიკის ეროვნული სამსახური 6 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ზუგდიდი), საცალო ვაჭრობის და მომსახურების 1700 ობიექტებზე, ახორციელებს. „სამომხმარებლო კალათა“, საიდანაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი, იგივე ინფლაციის საშუალო დონე, გამოიანგარიშება, აერთიანებს 12 სასაქონლო ჯგუფსა და, შესაბამისი ხვედრითი წონების გათვალისწინებით, 305 დასახელების სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას.

სასაქონლო ჯგუფებს შორისაა: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (30,1%), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (6,4%), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (3,4%), საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8,4%), ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება (6,6%), ჯანმრთელობის დაცვა (8,4%), ტრანსპორტი (13,1%), კავშირგაბმულობა (3,7%), დასვენება, გართობა და კულტურა (6,4%), განათლება (4,7%), სასტუმროები, კაფეები და რესტორნები (4,1%), სხვა საქონელი და მომსახურება (4,9%)⁶.

ერთი შეხედვით, აღნიშნული კალათა საკმაოდ დაბალანსებულია და ფაქტობრივად მოიცავს რიგითი მოქალაქისთვის საჭირო ყველა პროდუქტს. თუმცა, ამგვარი სასაქონლო ჯგუფების უმრავლესობა რეალურად არ ასახავს საქართველოს და ასევე სხვა განვითარებადი, განსაკუთრებით კი, ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის პრობლემას. კერძოდ, საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის 30%-სათვის სიღარიბე უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს⁷, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ძვირადღირებულ ალკოჰოლურ სასმელებზე, ავეჯზე, აგრეთვე დასვენებასა და გართობაზე, სასტუმროების, კაფეების და რესტორნების მომსახურებაზე ფასების დინამიკას, ფასების კლებას თუ მატებას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული კალათის ყოვლისმომცველობა იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც სიღარიბე არის მნიშვნელოვანი პრობლემა, არის არა უპირატესობა, არამედ სუსტი მხარე და ის ადეკვატურად ვერ ასახავს (ღარიბი) ქვეყნის საშუალო მომხმარებლის ხარჯების სტრუქტურას.

ფაქტია, რომ ინფლაციის მაჩვენებელი და მისი გაანგარიშების აღიარებული და აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკა, სამწუხაროდ, სრულყოფილად ვერ აჩვენებს განვითარებადი და, განსაკუთრებით კი, შედარებით ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის მიერ ფასების საშუალო დონის აღქმით განპირობებულ მოლოდინს. ეს კი, შესაძლოა, საზოგადოებაში უნდობლობით გამოწვეულ უარყოფით ემოციებსაც აჩენდეს. კერძოდ, საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელი დაბალია, ხოლო მოსახლეობის დაბალმემოსავლიანი ფენებისთვის მნიშვნელოვან პროდუქტებზე ფასები საგრძნობლად იზრდება. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა მოსახლეობის ამ ფენებისათვის

ნაკლებად მნიშვნელოვან ცალკეულ პროდუქტებზე ფასების შემცირება ფიქსირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წელს მსოფლიოში 746 მლნ. ადამიანი (აქედან 383 მლნ. – აფრიკაში და 327 მლნ. – აზიაში) უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა⁸, ხოლო 2014-2016 წლებში მსოფლიოს მოსახლეობის 10,9% შიმშილობდა⁹ (ანუ სანამ სიღარიბე რჩება გლობალურ პრობლემად¹⁰), აშკარაა, რომ ამ ადამიანებისათვის, უკეთეს შემთხვევაში, არაფრის მიმცემია ინფლაციის ტრადიციული მაჩვენებლით განსაზღვრული ფასების საშუალო დონე. მათთვის, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს ფასების დინამიკას საკვებზე, უმთავრეს მედიკამენტებსა და კომუნალური მომსახურების ელემენტარულ სახეობებზე.

საბოლოო ჯამში კი, მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლის გამოყენებით შესაძლოა არ იქნეს მიღებული მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი გადაწყვეტილებები.

ამ ვითარებაში იბადება ლოგიკური კითხვა, თუ რა პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას, როცა ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის სამიზნე მხოლოდ ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც „ინფლაციის თარგეთირების“ სახელითაა ცნობილი.

„ინფლაციის თარგეთირების“ დადებითი გამოცდილება და მასთან დაკავშირებული კრიტიკული მოსაზრებები

1967 წლიდან მოყოლებული ორი ათეული წლის განმავლობაში ახალი ზელანდიის პრობლემა იყო სტაბილურად მაღალი ინფლაცია (საშუალოდ, წლიურად 15%-ს, მაქსიმუმ 20%-ს აღწევდა)¹¹. 1989 წელს ახალი ზელანდიის სარეზერვო ბანკმა გამოსცა აქტი, რომლის თანახმადაც, მონეტარული პოლიტიკის მიზნობრივ მაჩვენებლად განისაზღვრა მაქსიმალური ინფლაციის დონე, რითაც საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ინფლაციის თარგეთირებას“. ამით ახალმა ზელანდიამ, პირველმა მსოფლიოში, უარი თქვა აქამდე საყოველთაო სტანდარტად აღიარებული მონეტარული აგრეგატების და გაცვლითი კურსის პრიორიტეტულობაზე¹². ახალი ზელანდიის მაგალითი სულ მალე კიდევ რამდენიმე ქვეყანამ – კანადამ, დიდმა ბრიტანეთმა, ფინეთმა, შვედეთმა, ავსტრალიამ და ესპანეთმა –

გადაიღო¹³. 2006 წლისთვის „ინფლაციის თარგეთირების“ მიმდევარი ქვეყნების რიცხვმა 25-ს¹⁴, 2017 წლისთვის კი 62-ს მიაღწია¹⁵.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს (2009 წლიდან) ისევე, როგორც მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების (თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი და სხვა) ცენტრალური ბანკები უკვე წლებია ახორციელებენ „ინფლაციის თარგეთირებას“.

ცენტრალური ბანკები, რომლებიც „ინფლაციის თარგეთირების“ გზას დაადგენენ, ხშირად ამართლებენ ამ გადაწყვეტილებას და ამბობენ, რომ მათ არათუ მიაღწიეს მათთვის სასურველ მიზანს (ფასების სტაბილურობას), არამედ ამით ხელი შეუწყვეს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, როგორც, მაგალითად, აცხადებს კანადის ცენტრალური ბანკი¹⁶. ის, რომ „ინფლაციის თარგეთირების“ მიმდევარ ქვეყნებში ინფლაციის საშუალო დონე შედარებით დაბალი იყო როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, სპეციალური კვლევებითაც დასტურდება¹⁷.

აღსანიშნავია, რომ „ინფლაციის თარგეთირებას“ ანგარიშგასანევი მონინალმდეგეებიც ჰყავს. მაგალითად, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი თითქმის დარწმუნებულია, რომ ეს სისტემა შეიცვლება, რადგან განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბანკები უძღურნი არიან მართონ ინფლაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში იმპორტირებულია¹⁸. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის და პრეზიდენტ ბილ კლინტონის ეკონომიკური საბჭოს მრჩევლის ჯეფრი ფრენკელის აზრით, 90-იანების სავალუტო კრიზისების ფონზე „ინფლაციის თარგეთირება“ ცალკეული ქვეყნებისთვის სწორ დროს და სწორ ადგილას აღმოჩენილი საშუალება გახდა, რათა მოსახლეობისთვის სტაბილურობის შეგრძნების განცდა შეექმნათ, თუმცა შემდგომში „ინფლაციის თარგეთირება“ „მოკვდა“ და ცენტრალურ ბანკებს ჯერ კიდევ არ აქვთ გადაწყვეტილი, თუ რა ახალი დატვირთვა უნდა მიეცეს მონეტარულ პოლიტიკას, რომ ის სტაბილურობის ახალი იმედი გახდეს¹⁹.

The Bank for International Settlements-ი ეწინააღმდეგება უშუალოდ „ინფლაციის თარგეთირებას“, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ფინანსურ სტაბილურობას²⁰. „ინფლაციის თარგეთირება“ არ ითვალისწინებს ფინანსურ ციკლებს და შედეგად ვიღებთ ზედმეტად ექსპანსიურ და ასიმეტრიულ მონეტარულ პოლიტიკას²¹.

საყურადღებოა, რომ „ინფლაციის თარგეთირება“ არაერთ კითხვას აჩენდა მისი შემოღების დღიდანვე. კერძოდ, ინფლაციის მოთოკვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხერხდა არა 1990-იან წლებში, „ინფლაციის თარგეთირების“ შემოღების შედეგად, არამედ ის უკვე 1980-იანი წლებში ხასიათდებოდა დაღმავალი ტენდენციით და მასში დიდი წვლილი მიუძღვის გლობალიზაციას და ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციას (და არა – „ინფლაციის თარგეთირებას“)²².

ფაქტია, რომ საქართველოსთვის ისევე, როგორც სხვა განვითარებადი და, განსაკუთრებით კი, ლარიზი, იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისთვის, დამახასიათებელია ისეთი პრობლემები, რომელთაც მარტო ინფლაციის მაჩვენებელი სრულად ვერ ასახავს. კერძოდ, საქართველოსთვის დამახასიათებელია ის, რომ:

- ა) სამომხმარებლო კალათის 80% იმპორტირებული პროდუქციაა, ამიტომ ინფლაციაც ხშირ შემთხვევაში ასევე იმპორტირებულია;
- ბ) სახეზეა დოლარიზაციის მაღალი დონე (საქართველოში 2016 წლის ბოლოსათვის 70%-ზე მაღალია²³);
- გ) დასაქმებულთა ნახევარზე მეტს (2015 წელს თვითდასაქმებულების რაოდენობა მთლიან დასაქმებაში – 57%-ზე მეტია²⁴) შემოსავალი/ხელფასის საბანკო ანგარიშებზე არც კი ერიცხებათ დამოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არა ხელფასით, არამედ უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილებით ცხოვრობს (თუკი 2015 წლის საშუალო ხელფასს, 900,4 ლარს²⁵, გავამრავლებთ 753,4 ათას დაქირავებულ დასაქმებულზე²⁶, მივიღებთ 8,14 მილიარდ ლარს მაშინ, როცა იმავე წელს უცხოეთიდან გადმოირიცხა 1,079 მილიარდი აშშ დოლარი²⁷, რომელსაც თუ გავამრავლებთ 2015 წლის ლარი/დოლარის საშუალო კურსზე – 2,27-ზე²⁸, მივიღებთ 2,45 მილიარდ ლარს. მაშასადამე, 2015 წელს საქართველოში გადმოირიცხული თანხა ხელფასად გაცემული თანხის 30%-ზე მეტს შეადგენდა).

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას თუ შერბილებას შესაძლოა თან ახლდეს რეგიონული და მსოფლიო პოლიტიკური და/ან ეკონომიკური მოვლენებიდან გამომდინარე ეროვნული ვალუტის სრულიად დაუგეგმავი გამყარება ან გაუფასურება, რომელმაც შესაძლოა ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯი სრულად „შთანთქოს“.

ამ პრობლემას მკაფიოდ აფიქსირებს თავად საქართველოს ეროვნული ბანკიც, რომელიც აღნიშნავს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დასადგენი პროგნოზირების სირთულეს: „არსებული პროგნოზები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეგზოგენურ ფაქტორებზე და შეიცავს რისკებს როგორც ზრდის, ასევე შემცირების მიმართულებით. ძირითად რისკფაქტორს საგარეო სექტორი წარმოადგენს. კერძოდ, რისკის შემცველია სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ვითარება, დოლარის გლობალური გამყარების ტენდენციები და სურსათისა და ნავთობის საერთაშორისო ფასები. პროგნოზის საბაზისო სცენარი საგარეო შოკის გამწვავებას, საერთაშორისო ბაზრებზე დოლარის გაცვლითი კურსისა და სასაქონლო ჯგუფებზე ფასების მკვეთრ ცვლილებებს არ ითვალისწინებს“.²⁹

როგორც წესი, საქართველოს მოსახლეობის შედარებით დაბალშემოსავლიანი ნაწილისათვის, ეკონომიკურად მსგავს მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის შესაბამისი სეგმენტის მსგავსად, რთული გასაგებია ინფლაციის მაჩვენებლის გარკვეულ ნიშნულზე შენარჩუნებით (საქართველოს შემთხვევაში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებლები) 2016 წელს — 5%-იანი, 2017 წელს – 4%-იანი, 2018 წლიდან კი – 3%-იანი ნიშნულის დონეზე) ხელისუფლების კმაყოფილება. საქართველოსთვის ინფლაციის შედარებით დაბალი დონე არცთუ იშვიათად საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების დაცემით³⁰ და საქართველოს სამეზობლოში (ძირითად სავაჭრო პარტნიორებში) ეროვნული ვალუტის დევალვაციით³¹ (შესაბამისად, ქართულ ბაზარზე მათი პროდუქციის გაიაფებით) იყო გამოწვეული. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მნიშვნელობის გათვალისწინება კი როცა ჯეროვნად არ ხდება, საკმაოდ მტიკინეულად აისახება მოსახლეობის ფართო ფენებსა და ბიზნესზე და გაურკვევლობის შიშს აჩენს³².

იმფლაცია, აგფლაცია და მანფლაცია

იმისათვის, რომ არ მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის, ცენტრალური ბანკის, მთავრობისა და ბიზნესის შეცდომაში შეყვანა და განვითარებად, უმთავრესად ლარიბ, ქვეყნებში რეალობა ადეკვატურად აისახოს, აუცილებელია ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად სხვა მაჩვენებლების გამოყენებაც.

ქვეყნებისათვის, სადაც იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, ამკარად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ტრადიციული ინფლაციის მაჩვენებლის, არამედ მისი მხოლოდ იმპორტირებული საქონლისა და მომსახურებით შედგენილი სამომხმარებლო კალათის მიხედვითაც გათვლა. ასეთ მაჩვენებელს შეიძლება დავარქვათ **იმფლაცია (Inflation)** – სახელი, რომელიც წარმოქმნილია ორი ტერმინის – „იმპორტის“ და „ინფლაციის“ – გაერთიანებით.

საყურადღებოა, რომ თუ ცენტრალური ბანკებისათვის მიზნობრივ მაჩვენებელთა რიცხვში ინფლაციასთან ერთად იმფლაციაც შევა, მაშინ ცენტრალურ ბანკებს დასჭირდებათ ადეკვატური რეაგირება ეროვნული ვალუტის დევალვაციაზეც, რათა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იმპორტის გამო, ამ შესაბამის იმპორტულ საქონელზე ქვეყნის შიგა ბაზარზე არ მოხდეს ფასების მატება.

აღსანიშნავია, რომ უკვე წლებია, რაც საქართველოს ეროვნული ბანკი „იმპორტული“ და „ადგილობრივი“ საქონლის ფასებს აკვირდება,³³ რაც, რა თქმა უნდა, გამოკვეთილად უარყოფითი სავაჭრო სალდოს მქონე საქართველოს ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ სამომხმარებლო კალათაში შედის არაერთი ისეთი საქონელი და მომსახურება (როგორც იმპორტირებული, ისე ადგილობრივი წარმოების), რომელსაც, როგორც წესი, ნაკლებშემოსავლიანი ადამიანები არ იძენენ, ამიტომ არა მარტო ინფლაციის, არამედ მასთან ერთად აღებული იმფლაციის მაჩვენებელიც კი ვერ დააკმაყოფილებს იმ მიზანს, რომ შეფასდეს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ფასების დინამიკა მოსახლეობის ღარიბი ნაწილისათვის მნიშვნელოვან სფეროებში.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ პრაქტიკაში სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს აგრარული ინფლაციის (ანუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების საშუალო დონის ზრდა), ანუ **აგფლაციის (Agflation)** მაჩვენებელი. ტერმინი აგფლაცია შედარებით ახალია და მისი შემოღება 2006-2007 წლებში ხილზე, კვერცხზე, მარცვლეულ კულტურებსა და სხვა საკვებ პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვან ზრდას უკავშირდებოდა³⁴. აგფლაციის მაჩვენებლის გაზომვა ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებად, განსაკუთრებით კი, ღარიბ ქვეყნებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია კვების

ძირითადი პროდუქტების გაძვირება (მაგალითად, ინდოეთში)³⁵.

არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ აგფლაციის მაჩვენებელი უფრო მაღალი და მეტად მნიშვნელოვანია იმ ღარიბ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც სასურსათო პროდუქცია მთლიანი სამომხმარებლო კალათის დაახლოებით ნახევარს შეადგენს (საქართველო – 31%³⁶, რუსეთი – 50%³⁷, აზერბაიჯანი – 50%, სომხეთი – 50%, თურქმენეთი – 60%, ტაჯიკეთი – 57%³⁸), განსხვავებით დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისგან (აშშ – 15%³⁹, ევროზონის ქვეყნები – 18%⁴⁰) თუ თურქეთისაგან (24%)⁴¹.

საყურადღებოა, რომ აგფლაცია არ არის მარტო განვითარებადი ქვეყნების პრობლემა. ამას ადასტურებს ის გამოცდილება, როცა აგფლაციამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებს (იგულისხმება 2004 წელს განეწიანებული 10 აღმოსავლეთევროპული ქვეყანა)⁴². ამასთან, მთელი რიგი პროდუქტებისა (რძის პროდუქტები, მცენარეული საკვები და შაქარი) ძვირდება არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, ხოლო ცალკეულ პროდუქტებზე (მაგალითად, ღორის ხორცი) კი ევროკავშირში საშუალოდ უფრო მაღალი ფასებია, ვიდრე მსოფლიოში⁴³.

როგორც ცნობილია, სასურსათო ინფლაცია არა მარტო უფრო მაღალი, მერყევი და ხანგრძლივია, ვიდრე არასასურსათო ინფლაცია, არამედ მას უფრო მეტი დრო სჭირდება, რომ ახალ, შემცირებულ ფასებზე გადავიდეს, განსხვავებით ფასების მატების პროცესისაგან⁴⁴.

აგფლაციის მაჩვენებლის გამოყენების არეალი შეზღუდულია, რადგანაც ის არ ასახავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე ფასების ცვლილებას, როგორიცაა მკურნალობა და კომუნალური მომსახურება.

მაგალითისთვის, საქართველოში 2016 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი აღემატებოდა აგფლაციის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის მნიშვნელოვან ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ჯანდაცვა და კომუნალური მომსახურება, ამ უკანასკნელთა საშუალო წლიური ფასების ზრდა აღემატება საშუალო წლიურ ინფლაციას (იხ. ცხრილი).

სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქართველოში 2016 წელს
(წინა წლის შესაბამისი თვე=100)

ჯგუფები	2016												საშუალო
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
სულ	105.6	105.6	104.1	103.2	102.1	101.1	101.5	100.9	100.1	99.8	100.2	101.8	102.2
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	105.1	104.6	102.3	101.9	101.4	100.7	101.1	100.6	100.3	100.2	99.9	101.6	101.7
საცხოვრებელი სახლი, ნაწილი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეობები	108.4	106.0	105.6	105.4	105.5	106.1	106.1	101.5	99.9	99.3	99.0	100.1	103.6
ჯანმრთელობის დაცვა	111.0	110.5	110.2	107.5	105.7	104.3	104.1	103.3	101.2	101.3	101.5	102.1	105.2

წყარო: საქსტატი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან
www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/price/Consumer Price Index to the same month of previous year - eng.xls.

იმის გათვალისწინებით, რომ შედარებით ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა იმას, თუ ფასების საშუალო დონე როგორია, არამედ იმას, თუ როგორ იცვლება ფასები საშუალოდ სურსათზე, მკურნალობასა და კომუნალურ მომსახურებაზე (ძირითადად, წყალი, ელექტროენერგია, კანალიზაცია, გაზი და სხვა სათბობი), საჭიროა ამის ადეკვატურად ამსახველი სტატისტიკური ინდიკატორის გათვლა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შემოგვაქვს ახალ სტატისტიკური მაჩვენებელი – **მანფლაცია** (Munflation). ამ სიტყვის პირველი სამი ასოთი იწყება ინგლისურ ენაზე სიტყვები — მკურნალობა (Medication), კომუნალური მომსახურება (Utilities) და კვება (Nutrition).

მანფლაციის გაანგარიშებისათვის გამოყენებული უნდა იყოს ინფლაციის გაანგარიშებისათვის განკუთვნილი სამომხმარებლო კალათიდან მკურნალობის, კომუნალური მომსახურების და საკვები პროდუქტების შესაბამისი პარამეტრები. უკანასკნელი კომპონენტი იმავდროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება აფფლაციის გასაანგარიშებლად.

„საქსტატის“ თანახმად, „სურსათისა და უაღკოპოლო სასმელების“ ჯგუფში 92 პროდუქტი შედის⁴⁵, რომლებიც შეესაბამება აფფლაციურ კალათაში შემავალ პროდუქტებს. აღსანიშნავია, რომ ეს კალათა შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში, გამომდინარე ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეულ პროდუქტებზე მეტად თუ ნაკლებად დამოკიდებულებიდან.

„საქსტატის“ მიხედვით, დღეისთვის „ჯანმრთელობის დაცვის“ ჯგუფში 19 საქონელი და მომსახურება შედის; 17 დასახელებაა „კომუნალური მომსახურების“ ჯგუფში⁴⁶.

მანფლაციის გაანგარიშებისათვის სამომხმარებლო კალათის სამივე ჯგუფი საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას. მაგალითად, საქართველოსთვის „სურსათისა და უაღკოპოლო სასმელების“ ჯგუფიდან შეიძლება ამოვიღოთ ლიმონათი და „კოლას“ ტიპის სასმელები (რადგანაც მათ თითქმის არ მოიხმარს ღარიბი მოსახლეობა); „ჯანმრთელობის დაცვის“ ჯგუფიდან – თერმომეტრი (რომელიც, სიღარიბის მიუხედავად, თითქმის ყველა ოჯახშია) და სამშობიარო მომსახურება (რის დაფინანსებასაც საქართველოში უზრუნველყოფს სახელმწიფო); ხოლო „კომუნალური მომსახურების“ ჯგუფიდან – სამშენებლო მასალები (რადგან მათ თითქმის არ მოიხმარს ღარიბი მოსახლეობა).

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი „ინფლაციური თარგეთირების“ არსებული პრაქტიკის გაფართოება და ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად, განსაკუთრებით განვითარებად და შედარებით ღარიბ ქვეყნებში, განხილულ იქნეს იმფლაციის, აგფლაციის და მანფლაციის მაჩვენებლები, ცალკე კვლევის საგანია.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეკონომიკური განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, ინფლაციის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რის გამოც შესაბამისი მაჩვენებელი გამოიყენება ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების სხვადასხვა მიზნებისათვის.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ ეკონომიკური განვითარებისათვის ინფლაციის მაჩვენებლის მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ ცენტრალური ბანკის უმთავრეს მიზნად გამოიყენება ინფლაციის ზღვრული მაჩვენებელი. საუკუნის მეოთხედზე მეტი ხანია, რაც არაერთ ქვეყანაში დაგროვდა „ინფლაციის თარგეთირების“ საკმაოდ მდიდარი გამოცდილება, რომლის გაანალიზება-განზოგადებას საყურადღებო გამოკვლევები მიეძღვნა. გამოიკვეთა ეკონომისტთა ორი – „ინფლაციის თარგეთირების“ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა – ჯგუფი.

„ინფლაციის თარგეთირების“ კრიტიკოსები მის ერთ-ერთ სუსტ მხარედ მიიჩნევენ იმას, რომ უმთავრესად იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისათვის (სადაც საქონელთან ერთად ინფლაციის იმპორტსაც აქვს ადგილი) ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის დაკავშირება მხოლოდ ინფლაციის დაგეგმილ ზღვრულ მაჩვენებელთან (როგორც ამას სხვადასხვა კვლევა ადასტურებს) არ იძლევა ჯეროვან შედეგებს. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმპორტს, ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად იმპორტირებული ინფლაციის, ანუ ინფლაციის მაჩვენებლის „თარგეთირების“ მიზანშეწონილობა.

საქართველოს ეროვნული ბანკიც თავის შესაბამის პუბლიკაციებში საკმაოდ მკაფიოდ ადასტურებს ე.წ. იმპორტირებული ინფლაციის გამო ზოგადად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის პროგნოზირების წინაშე არსებულ სირთულეს.

ათწლეულზე მეტია, რაც მსოფლიო პრაქტიკაში გაიანგარიშება აგფლაციის მაჩვენებელი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უმთავრესად ღარიბი ქვეყნებისათვის, სადაც გამოკვეთილად მწვავედ დგას სურსათის პრობლემა.

განვითარებადი ღარიბი ქვეყნებისათვის რეალურად მნიშვნელობა აქვს არა მარტო სურსათზე, არამედ მკურნალობასა და კომუნალურ მომსახურებაზე საშუალო ფასების დინამიკას. ამ მიზანს აკმაყოფილებს მანფლაციის მაჩვენებელი, რომელიც მოსახლეობის ღარიბი ჯგუფებისათვის ხსენებულ სამივე ჯგუფზე საშუალო ფასების დინამიკას ასახავს.

განვითარებადი ღარიბი ქვეყნის სტატისტიკის სამსახურმა ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად უნდა გათვალოს იმფლაციის, აგფლაციის და მანფლაციის მაჩვენებლებიც, რასაც ესაჭიროება შესაბამისი მეთოდოლოგიის (განსაკუთრებით, იმფლაციისა და მანფლაციისათვის) შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია.

ამ მაჩვენებლების მეტ-ნაკლებად სრულყოფილ დონეზე გაანაგებება ქმნის იმის ობიექტურ შესაძლებლობას, რომ განვითარებადი ღარიბი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინოს „ინფლაციის თარგეთირების“ სისტემის გამრავალფეროვნება იმფლაციის, აგფლაციისა და მანფლაციის კომპონენტის გათვალისწინებით. ეს კი სპეციალური კვლევის საგანია.

წარმოდგენილი რეკომენდაციები აქტუალურია საქართველოსთვისაც. უწინარეს ყოვლისა კი, მიზანშეწონილია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შესაბამისი სამუშაოები დაიწყოს დროულად, რათა ინფლაციის მაჩვენებლის ზემოხსენებული მოდიფიკაციების შესწავლის საფუძველზე უფრო თვალსაჩინო გახდეს მათი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივები, როგორც ზოგადად ეკონომიკური ანალიზისა თუ პროგნოზირებისათვის, ისე საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე არსებული საჭიროებებისათვისაც.

შენიშვნები

1. Gurgenidze, L., M. Lobzhanidze, and D. Onoprishvili. "Georgia: From Planning to Hyperinflation." *Communist Economies & Economic Transformation*, 1994, Vol. 6, No. 2.
2. Khaduri, N. "Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Post-Communist Georgia." *Problems of Economic Transition*, 2005, Vol. 48, No. 4, pp. 20-24; Papava, V. "The Georgian Economy: Problems of Reform." *Eurasian Studies*, 1995, Vol., 2, No. 2.
3. კაკულია, მ. *სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში*. თბილისი: ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, 2001; Kakulia, M. "Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect." In E. M. Ismailov, ed. *Central Eurasia: National Currencies*. Stockholm: CA&CC Press, 2008; Papava, V. "On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis)." *The Caucasus & Globalization*, 2011, Vol. 5, Issue 3-4, 2011.
4. კაკულია, მ. *სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში*; Papava, V. "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'." *Communist Economies & Economic Transformation*, 1996, Vol. 8, No. 2; Wang, J.-Y. "From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia." *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, 1998, Vol. 1; Wellisz, S. *Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies*. Studies & Analyses, Working Papers, No. 87. Warsaw: CASE, 1996.
5. Kakulia, M., and N. Gigineishvili. "The Primary Objectives and Priorities of Monetary Policy in Georgia." *Problems of Economic Transition*, 2005, Vol. 48, No. 4.
6. "Inflation Calculation Methodology Note." *National Statistics Office of Georgia*, 2017, www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/methodology/Inflation%20Calculation%20Methodology%20Note%202017.pdf.
7. "NDI Poll: Economy Still Top Concern for Georgians; Support for Nato and EU Stable." *National Democratic Institute*, January 17, 2017, www.ndi.org/publications/ndi-poll-economy-still-top-concern-georgians-support-nato-and-eu-stable.
8. Roser, M., and E. O. Ospina. "Global Extreme Poverty." *Our World In Data*, 2017, www.ourworldindata.org/extreme-poverty/.
9. "2016 World Hunger and Poverty Facts and Statistics." *World Hunger Education Service*, September, 2016, www.worldhunger.org/2015-world-hunger-and-poverty-facts-and-statistics/#hunger-number.
10. For example, Sachs, J. D. *The End of Poverty. Economic Possibilities for Our Time*. New York: The Penguin Press, 2005.

11. For example, Sherwin, M. "Inflation Targeting—The New Zealand Experience." In *Price Stability, Inflation Targets and Monetary Policy*. Bank of Canada, 1 May 1997, p. 261, www.bankofcanada.ca/1997/05/price-stability-inflation-targets-monetary-policy/, and www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/07/cn97-14.pdf.
12. For example, Archer, D. J. "Inflation Targeting in New Zealand." *International Monetary Fund*, March 20-21, 2000, www.imf.org/external/pubs/ft/seminar/2000/targets/archer.htm; Bernanke, B. S., T. Laubach, F. S. Mishkin, and A. S. Posen. *Inflation Targeting. Lessons from the International Experience*. Princeton: Princeton University Press, 1999; Brash D. "Inflation Targeting 14 Years On." *Reserve Bank of New Zealand*, January 05, 2002, www.rbnz.govt.nz/research-and-publications/speeches/2002/speech2002-01-05; Fischer, A. M., and A. B. Orr. "Monetary Policy Credibility and Price Uncertainty: The New Zealand Experience of Inflation Targeting." *OECD Economic Studies*, No. 22, Spring, 1994, www.oecd.org/newzealand/33940940.pdf; Spencer, G. M. Reddell, B. Hodgetts, C. Hunt, and A. Bollard. "Inflation Targeting: The New Zealand Experience and Some Lessons." *Reserve Bank of New Zealand*, January 18, 2006, www.rbnz.govt.nz/research-and-publications/speeches/2006/speech2006-01-18.
13. Debelle G., P. Masson, M. Savastano, and S. Sharma. "Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy." *IMF Economic Issues*, 1998, No.15, www.imf.org/external/pubs/ft/issues/issues15/.
14. Mishkin, F., and K. Schmidt-Hebbel. "Monetary Policy under Inflation Targeting: An Introduction." *Banco Central de Chile Working Papers*, No. 396, Decemner, 2007, p. 1, www.si2.bcentral.cl/public/pdf/documentos-trabajo/pdf/dtbc396.pdf.
15. "Inflation Targets Table for 2017." *Central Bank News*, 2017, www.centralbanknews.info/p/inflation-targets.html.
16. *Renewal of the Inflation-Control Target: Background Information – November 2006*. Ottawa: Bank of Canada, 2006, p. 3, www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/06/background_nov06.pdf.
17. Mishkin, F., and K. Schmidt-Hebbel. "Monetary Policy under Inflation Targeting: An Introduction;" Vega, M., and D. Winkelried. "Inflation Targeting and Inflation Behavior: A Successful Story?" *International Journal of Central Banking*, 2005, Vol. 1, No. 3, pp. 153-175, www.ijcb.org/journal/ijcb05q4a5.pdf.
18. Stiglitz, J. "The Failure of Inflation Targeting." *Project Syndicate*, May 6, 2008, www.project-syndicate.org/print_commentary/stiglitz29/.
19. Frankel, J. "The Death of Inflation Targeting." *Project Syndicate*, May 12, 2012, www.project-syndicate.org/commentary/the-death-of-inflation-targeting?barrier=true.
20. Jones, C. "BIS Warns of too Much Focus on Inflation." *The Financial Times*, June 26, 2016, www.ft.com/content/5e4d0560-3a13-11e6-9a05-82a9b15a8ee7; Tovar, C. E. (Ed.) *Perspectives on Inflation Targeting, Financial Stability and the Global Crisis*. BIS Papers, No 51, March 2010, www.bis.org/publ/bppdf/bispap51.pdf.

21. Weber, A. "Rethinking Inflation Targeting." *Project Syndicate*, June 8, 2015, www.project-syndicate.org/commentary/rethinking-inflation-targeting-price-stability-by-axel-weber-1-2015-06?barrier=true.
22. Ibid.
23. "Money Aggregates and Monetary Ratios. Statistical Data." *National Bank of Georgia*, 2017, www.nbg.gov.ge/uploads/depozitaricorporeisheniinglisurad/money_aggregates_and_monetary_ratioseng.xlsx. საქართველოსთვის ეს პრობლემა დეტალურადაა შესწავლილი ნაშრომში: კაკულია, მ. და ასლამაზიშვილი, ნ., *დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბი, ფაქტორები, დაძლევის გზები*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2000.
24. "Distribution of Population Aged 15 and Older by Economic Status, 1998-2015. Employment and Unemployment." *National Statistics Office of Georgia*, 2017, www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/labour/new/01%20Distribution%20of%20population%20age%20of%2015%20and%20older%20by%20economic%20status.xls.
25. "Wages." *National Statistics Office of Georgia*, 2017, www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=149&lang=eng.
26. "Distribution of Population Aged 15 and Older by Economic Status, 1998-2015. Employment and Unemployment."
27. "Money Transfers by Months. Statistical Data." *National Bank of Georgia*, 2017, www.nbg.gov.ge/uploads/moneytransfers/money_transfers_by_months_eng.xls?1486298671316.
28. "Monthly Average Exchange Rates. Statistical Data." *National Bank of Georgia*, 2017, www.nbg.gov.ge/uploads/exchangeratesunglisurad/monthly_exchange_rateseng.xls?1486298671313.
29. *მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, თებერვალი, 2017*. თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017, გვ. 6, www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2017/publish_MR_February_geo_2017.pdf.
30. "Crude Oil. WTI (NYMEX) Price." *Nasdaq*, 2017, www.nasdaq.com/markets/crude-oil.aspx?timeframe=3y.
31. "Regional Economic Outlook: Caucasus and Central Asia." *International Monetary Fund*, October 21, 2016, pp. 12-13, www.imf.org/external/pubs/ft/reo/2016/mcd/eng/pdf/cca1016p.pdf.
32. Anguridze, O., Charaia V., Doghonadze, I. *Security Problems & Modern Challenges of the Georgian National Currency*. Tbilisi, Ivane Javakishvili Tbilisi State University, 2015, www.analytica.tsu.ge/www/files/2015/07/Security-Problems-Modern-Challenges-of-the-Georgian-National-Currency2.pdf
33. მაგალითად, *მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, თებერვალი, 2017*, გვ. 20. *Monetary Policy Report, February 2017*. Tbilisi: National Bank of Georgia, 2017, p. 18.

34. Chorafas D. N. *Energy, Environment, Natural Resources and Business Competitiveness: The Fragility of Interdependence*. New York: Routledge, 2016, p. 139, www.books.google.ge/books?id=DmlWDAQAQBAJ&pg=PA136&lpg=PA136&dq=Chorafas+D.+N.+Energy,+Environment,+Natural+Resources+and+Business+Competitiveness:+The+Fragility+of+Interdependence&source=bl&ots=RbHJWxVfBo&sig=lyJVopR6XbIF-V4zqPHTeHwc11M&hl=ka&sa=X&ved=0ahUKewifolXyu4jSAhUDESwKHRvDAw4Q6AEIHjAB#v=snippet&q=agflation&f=false.
35. მაგალითად, ინდოეთისათვის აგფლაციის მაჩვენებელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (იხ., მაგალითად, Suryanarayana M. H. "Agflation and the PDS: Some Issues." *Indira Gandhi Insitute of Development Research*, WP-2008-009, April 2008, www.igidr.ac.in/pdf/publication/WP-2008-009.pdf).
36. "Inflation Calculation Methodology Note."
37. Маширова, С. П., и А. Ю. Степашова. "Анализ стоимости потребительской корзины". Молодой ученый, № 1, 2015, www.moluch.ru/archive/81/14639/.
38. "Inflation in Georgia – Causes and Cures." *Economic Policy Research Center Issue in Focus*, 5th Report, June, 2012, pp. 12, 32, www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report_Eng-%20Inflation.pdf.
39. Ibid., p. 32.
40. "Comparative Price Levels of Consumer Goods and Services." *Eurostat, Statistics Explained*, December, 2016, www.ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Comparative_price_levels_of_consumer_goods_and_services.
41. "Turkey 'Set to Cut Share of Food in Inflation Basket to Ease Consumer Prices.'" *Daily News*, October 17, 2016, www.hurriyetdailynews.com/turkey-set-to-cut-share-of-food-in-inflation-basket-to-ease-consumer-prices.aspx?pageID=238&nid=105053.
42. "'Agflation" in the New Member States—Some Stylized Facts." *IMF*, 2008, www.imf.org/external/CEE/2008/120107.pdf.
43. "Commodity Price Dashboard, No 54." *European Commission*, November, 2016, www.ec.europa.eu/agriculture/sites/agriculture/files/markets-and-prices/price-monitoring/dashboard/food11-2016_en.pdf.
44. "Inflation in Georgia – Causes and Cures," p. 31.
45. "Inflation Calculation Methodology Note."
46. Ibid.